№ 183
ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 183
ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 1898 წ.

რედაქციის ადგილსამყოფელი
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
ГАЗЕТИ ИВЕРИЯ
ГОРОДЪ ТИФЛИСЪ.
ГАЗЕТИСЪ ДОСТАВЛЯЕТЪ
ПОДПИСКИ И ОБЪЯВЛЕНІЯ
ПРИНИМАЕТЪ
ГАЗЕТИ ИВЕРИЯ
ГОРОДЪ ТИФЛИСЪ.
ГАЗЕТИСЪ ДОСТАВЛЯЕТЪ
ПОДПИСКИ И ОБЪЯВЛЕНІЯ
ПРИНИМАЕТЪ
ГАЗЕТИ ИВЕРИЯ
ГОРОДЪ ТИФЛИСЪ.
ГАЗЕТИСЪ ДОСТАВЛЯЕТЪ
ПОДПИСКИ И ОБЪЯВЛЕНІЯ
ПРИНИМАЕТЪ

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო განკის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ ამა მიმდინარე ნახევარ წლიდგან ბანკი სესხს აძლევს $4^1/_2$% გირავნობის ფურცლებით, ისეკი, რომ მსესხებელმა სესხად აღებულის ფულისა ყოველს ექვს თვეში უნდა გარდაიხადოს:

I. თუ სესხი ქალაქის მამულის გირავნობაზედ აღებული 38 წლითა და 4 თვით:

1) სარგებელი ფულისა	$2^1/_4$%
2) თავნის გარდასახდელი	$^1/_2$%
3) ბანკის მართვა-გამგეობის სარჯად	$^3/_8$%
სულ	$3^1/_8$

II. თუ სესხი სოფლის მამულის გირავნობაზე აღებული 66 წლითა და 2 თვით:

1) სარგებელი ფულისა	$2^1/_4$%
2) თავნის გარდასახდელი	$^1/_8$%
3) ბანკის მართვა-გამგეობის სარჯად	$^3/_8$%
სულ	$2^3/_4$%

ბანკის გამგეობას თავისს მოვალეობად მიაჩნია ამას დასძინოს, რომ სესხის $4^1/_2$% გირავნობის ფურცლებით შეიძლება გაცემულ იქმნას დანარჩენ დაწესებულის ვადითაც, მხოლოდ, ისეკი, რომ შესაფერად შეცვლილი იქნება რაოდენობა თავნის გასასტუმრებელ პროცენტისა. (3—ნ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაბეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

კგილის ექიმი
ა. ე. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5 დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32.

(10—უ.—2)

ახალი ამბავი

∴ ამ წლის სექტემბრის პირველიდგან ხარფუხში (ძველი სეიდაბადი) ახლად დაარსდება სამების ორკლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სკოლა მოზარდის ვაჟებისთვის განსვებულის საქართველოს მეფის ერეკლე II ს სახსოვრად. ეს სასწავლებელი არსდება სასულიერო სემინარიის რექტორის არხიმანდრიტის ჰერმოგენის მოთავეობით. ეს აზრი ბ-ნს ჰერმოგენს იმ განზრახვით მოსვლია, რომ მჭიდროდ შეაკავშიროს ამ სკოლის დაარსება უკვდავისა და წარჩინებულის საქართველოს მეფის ერეკლე II-ს სახელთან, რომელიც დიდის ხნობით ებრძოდა გამძვინვარებულს ალა-მაჰმად-ხანს საქრისტიანოს წმინდა ჯვარისა და სარწმუნოების დასაცავად 1795 წ. კრწანისის მინდორზედ, რომელიც იქვე მახლობლად იმყოფება ახლად დასაარსებელს სკოლასთან. ქართლ კ ხეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს თხოვნით, უწმიდესს სინოდთან დაარსებულმა სასწავლებელთა საბჭომ თითავისს თანხიდგან 5,000 მან. გარდასცა ამ სკოლას სასკოლო შენობის ასაშენებლად. მასწავლებლების შენახვა და ჯამაგირების მიცემაც ქართლ კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ იტვირთა. ის სასწავლებელი, რომელიც ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ეკკლისიასთან იყო მოთავსებული ქალებისა და ვაჟებისა, განსაკუთრებულ საეკკლესიო სამრევლო საქალებო სასწავლებლად გადაკეთდა. ეს საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელი სამრევლო სამზრუნველოს ხარჯით იქმნება და ჩქარა დაიწყებს მოქმედებას მათის მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, ფლაბიანეს ნება-დართვით.

∴ პოლიცმეისტერმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ კახეთის გზატკეცილი ამ ჟამად სირაჯხანიდგან ნავთლუხამდე ისე არის გაფუჭებული, რომ ეტლებს სიარული ძალიან უჭირდებათო. პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ეს გზატკეცილი შეაკეთეთო.

∴ სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ მას შემდეგ, რაც ქუჩების გასუფთავება „სახლის პატრონებს დააკისრეს, უკანასკნელნი სრულიად არ ასუფთავებენ ქუჩებსაო. მაგალითად, დიდად უსუფთაოობაში არის 15 ქუჩა მე-3 პოლიციის ნაწილში, 13 ქუჩა მე-4 ნაწ., 23 ქუჩა მე-5 ნაწ., 14 ქუჩა მე 7 ნაწ., ხოლო მე-6 და 8 ნაწილში არც ერთი ქუჩა არ არის სუფთაო.

∴ რუსეთის და კავკასიის სამადნო ქარხნების საზოგადოების წევრთ—დამფუძნებელთ უთხოვნიათ მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ტ. ს. მედვედევისთვის ნება მიეცით ჩვენს ინჟენერს ვენდროვსკის, რომ გამოიკვლიოს სად და რაგვარი მადნებია კავკასიაში, რადგანაც აზრადა გვაქვს დავაარსოთ კავკასიაში რელსების, თუჯის მილების, ვაგონების მკეთებელი რამდენიმე ქარხანაო.

∴ 24 აგვისტოს, მეოთხე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია საქმე ძმათა სიმონიანცებისა,

ფელეტონი

აღსარება.

პოლ ბურჟესი

I

წინამძღვარი შემინა მეტის-მეტად დაღალულიყო, რადგან მოესმინა აღსარება მრავალის ახალგაზდა ქალისა, რომელნიც ინანიებდნენ თავიანთს ნებსითსა და უნებლიეთს ცოდვასა და დანაშაულს. აგერ ხუთი წამიცა და იგი წავა თავის საკუთარს სადგომში, მიუჯდება გახურებულს ბუხარს და გაითბობს თავისს ბებერ ძვლებს. ეკკლესიის მყუდროება აშკარად ამტკიცებდა, რომ მისი ღმერთთან შუამავლობა აღარავისთვის საჭირო არ იყო. თუმცა მოძღვარი ფრიად თავდაჭერილი და მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიმაგრა და იმისს სახეს წყრომის ბეჭედი დაესვა, როცა შესავალი კარები გაიღო და ჩქარის ნაბიჯით საალსარებოს ვიღაცა მიუახლოვდა, აქ გაჩერდა და წყნარად დაიჩოქა; შემდეგ საალსარებოს მოაჯირს ხელი დაუკაკუნა...

მოძღვარმა იმ წამსვე უსაყვედურა თავისს თავს ამ არა-ქრისტიანულის ულძვირობისათვის, გუნებაში ლოცვა წარმოსთქვა და საალსარებოს პატარა ფიცრული კარები გააღო. თუმცა ეკკლესიაში ბნელოდა, მაგრამ წინამძღვარმა ქალის ჩრდილი დაინახა და მიხვდა, რომ იგი ახალგაზდა იყო; ქალს ორფად ეფარა სახეზედ პირბადე, მაგრამ წინამძღვრის გამჭრიახმა თვალმა მალე შეატყო, რომ მისი სახე ტანჯულად გამოიცქირებოდა; სჩანდა, ქალის არსება რაღაც მწვავს გრძნობას შეეპყრო და მწუხარედ აეღელვებინა.

II

— მამაო! დაიწყო მან აღელვებულის ხმით, როცა წინამძღვარი შეეკითხა: გადავწყვიტე ჩავიდინო საზარელი დანაშაული, რომელსაც შემდეგ კერ ვიტან... ნუ მკითხავთ, რა დანაშაულის ჩადენა გადავწყვიტე, ვერ გეტყვით. მაგრამ ჩავიდენ კი, უნდა ჩავიდინო,—დაუმატა მან, და ძალა დაატანა სიტყვას „უნდა“. ხომ ჰხედავთ, ცუდი ქალი არა ვყოფილვარ, ჯერ კიდეკ სარწმუნოება არ დამიკარგავს. მოვსულვარ თქვენთან, რომ წინადღითვე მოვინანიო ჩემი ცოდვა და შეუნდობელი არ მოვკვდეე. ეიცი, რასაც მეტყვით: „ნუ ჩაიდენ მაგ ცოდვასაო“... რომ შემეძლოს ყველაფრის თქმა, წმიდაო მამაო, უეჭველად მიხვდებოდით ჩემს განუსაზღვრელს მწუხარებას, ჩემს ტანჯვას და დამეთანხმებოდით, რომ ჩემი გარდაწყვეტილება აუცდენელია... აახ!—დაიკვნესა გულსაკლავად და მიეყრდნო შუბლით საალსარებოს კარებს, თითქოს მწუხარების სიმძიმეს მთლად მოედუნებინოს სრული მისი არსება.

წინამძღვარ შემინას ვინ იცის რა და რა ნაირი საოცარი აღსარება არ მოუსმენია. მაგრამ მოხუცი მესაიდუმლე ასე საშინლად არასოდეს არ აღელვებულა და არ შეშინებულა, როგორც ამ ახალგაზდა ქალის ზნეობრივმა შეძრწუნებამ შეაშინა. როგორ მოთავსდა ამ ქალის საცოდავ არსებაში ასეთი დიდებული კეთილმორწმუნოება და ამდენი შეცთომილებანი: რწმენა, რომ ღმერთი აპატიებს, ძებნა განგებისა, ვედრება მისდამი და ამავე დროს საუბარი საზარელ დანაშაულის გამო, რომლის ჩადენასაც იგი ჰფიქრობდა, და ამას უმატებდა თავის მოკვლასაც? აშკარად ეტყობოდა, რომ იგი ამ დანაშაულს ჩაიდენდა და შემდეგ თავსაც მოიკლავდა. ნეტა რა დანაშაულის ჩადენას აპირობს? პირველი აზრი, რომელმაც ამ დროს მოძღვარს თავში ელვასავით გაურბინა, სიყვარულის შურის-ძიება იყო. ალბად ახალგაზდა ქალს უღალატეს, მაგრამ ვინ? ქმარმა? საყვარელმა? საქმე ხომ ის არ იყო, ვინ? საქმე ის არის, რომ ქალს უღალატეს და ის ემზადებოდა შურის საძიებლად. ამ ვნებით გატაცებულ დროს ერთად-ერთი ხსნა დროზედ მოქმედებაა, დროზედ მისწრება. მოძღვარმა ეს კარგად იცოდა.

— საყვარელო შვილო, დაიწყო წყნარის ხმით წინამძღვარმა: შეუძლებელია, რასაც შენ მთხოვ, მოწყალება ღვთისა, მართალია, უსაზღვროა, მაგრამ იგი ითხოვს გულწრფელს მონანებას... განგებას შენთვის უკვე დიდი მოწყალება მოუნიჭებია: შთაუნერგავს ის წმიდა აზრი, რომ მიხვიდე მისს საკურთხეველის წინაშე ცოდვის მოსანანიებლად,—ეს დიდი მოწყალებაა შენთვის. ნუ აიცდენ თავიდგან ამ მოწყალებას. თვით შენი განზრახვა დანაშაულია. ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ეგ აზრი მხოლოდ განზრახვად დაგრჩა. ეკუ აგდე იგი მთელის შენის არსებით და ჩემთან ერთად განიმეორე: „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“!..

თავ-განწირულებით აღელვებულმა ქალმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და აკანკალებულის ხმით, რომელშიაც ნათლად სჩანდა დაუთრგუნველი გარდაწყვეტილება, უპასუხა:

— არა, მამაო, ეგ ყველაფერი ჩემთვის უსარგებლოა... ჩემი ბედი გარდაწყვეტილია. ავასრულებ, რაც განმიზრახავს, შემდეგ მოვკვდები, მოვკვდები განკიცხული, დაწყევლილი, დაწყევლილი, დაწყევლილი...

— ხვალ მოდი, სთქვა მოძღვარმა, რომელიც შიშის ზარმა აიტანა, რადგან ქალს თანდათან აღტაცებულება ემატებოდა: ხვალ მოველაპარაკები უმაღლესს სასულიერო კაცთ და იქნება... დაუმატა მან სიფრთხილით.

— ხვალ რომ დაბრუნება ველარ შევიძლო? გააწყვეტინა. ხვალ რომ ჩავიდინო ეს დანაშაული?.. დღესაც დიდის გაჭირვებით მოვედი ეკკლესიამდის მარტო იმ განზრახვით, რომ არ გამეთავებინა ეს საქმე, ვიდრე წინადვე არ მოვინანიებდი ჩემს ცოდვას. სჩანს, დაუმატა მან სასოწარკვეთილებით; მე სამუდამოდ დავღუპულვარ და ღმერთიც ისე ხელსა მკრავს უფსკრულისაკენ, როგორც ადამიანი. ვიღა მიშველის, ვიღა მიხსნის? ოო, რანაირად ვიტანჯები! რანაირად ვიწვი!..

მოძღვარი შემინა რამდენსამე წამს ხმა გაკმენდილი იდგა. ხელ-მეორედ შეჰხედა საოცარს მონანულს ქალს და სცდილობდა დაენახა ის ნიშნები, რის ეშვიც აიღო. ქალს მარტო აღელვებისაგან არ ეცვლებოდა სახის

რომელთაც პოლიციის ოქმით ჰბრალდებოდათ საიდუმლო სკოლის დაარსება ავლაბარში. ბრალდებულთ თავისის სიმართლის საბუთად წარუდგინეს ის მოსაზრება, რომ მართალია ჩვენა გვქონდა სკოლა, რომელშიაც ვამზადებდით მოსწავლეებს სხვადა-სხვა სასწავლებლებში მისაღებად, ვისაც განმეორებით ჰქონდა ეგზამენი დანიშნულიო. რაც შეეხება სომეხთა ნერსესიანის სემინარიაში სწავლის დასრულების მოწმობას—ჩვენ გვაქვს ასეთი მოწმობა, იგი უკვე გაგზავნილია ეჩმიაძინში და საშუალება არა გვაქვს წარმოვადგინოთ სასამართლოშიო.—მომრიგებელმა მოსამართლემ მიუსაჯა სიმონიანცებს 5 მან. ჯარიმა, ხოლო თუ შეუძლებელნი აღმოჩნდნენ, ერთის დღე და ღამით დაპატიმრება. სასწავლებელი გაუქმებულ უნდა იქმნას ორის დღის განმავლობაში.

*** ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა 1-ს მომავალ სექტემბრიდგან გააუქმოს ავის სენით ავადმყოფთათვის დაარსებული თავშესაფარი, რადგანაც ქალაქის გამგეობას ამის შესანახად საკმაო ფული არა აქვს.

*** რადგანაც ქალაქის ქუჩებში ხშირად ღორები უპატრონოდ დადიან, ამიტომ გუშინ პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, თუ ქუჩაში ვისიმე ღორი ნახოთ, მაშინვე დაიჭირეთ და გაყიდეთ, როგორც უპატრონოო.

*** როგორც ნამდვილად შევიტყეთ, უწმიდესს სინოდს, ყოვლად სამღვდელო კავკავის ეპისკოპოზის შუამდგომლობის თანახმად, გადაუწყვეტია ათასი მანეთი გადასდოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კავკავის სკოლასთან ეკკლესიის ასაშენებლად

ამ ეკკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულად იქმნება კავკავის ქართველობისათვის.

*** შაბათს, 22 აგვისტოს, პირველ კლასიკურ გიმნაზიის პანსიონში მცხოვრებნი მოსწავლენი მანგლისიდგან ქ. ტფილისს დაბრუნდნენ.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ, კავკასიის მთავარ-მართებლის თანხმობით, ქოროღლის საძოვრები, ახალციხის მაზრაში, დღიურებად დაანაწილა და თავის დაგვარი სახაზინო გარდასახადიც დაადო.

*** ქ. ბათუმის ახლო-მახლო ნ. ბახტაძის ბაღში აღმოუჩენიათ მცირეოდენი ფილოქსერა, რომლის მოსასპობადაც კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს უკვე მოუხდენია განკარგულება.

*** ტფილისში აზრადა აქვთ დაარსონ ქალალდის ქარხანა. ამ ქარხნის წესდების პროექტი, გაზ, „ახ. მიმ.“ სიტყვით უკვე წარუდგენიათ საგუბერნიო მთავრობისათვის.

*** ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მამულების გამგე ს. პ. ბეკი გუშინ დუშეთის მაზრაში წავიდა.

*** გორის მაზრის სოფ. თამარაშენიდგან სწერენ „ტფ. ფურ“-ს, რომ 22 აგვისტოს აქ სეტყვა მოვიდა, რომელმაც მცხოვრებლებს დიდი ზარალი მისცაო.

*** დ. ცხინვალი. საკვირველია აქაურის მედიცინელების თავგასულობა: თუ დაატყეს, რომ ლილიანს მგზავრი ბლომად მოაწყდა და იმათ იქით წასასვლელი გზა არა აქვთ, მაშინვე ბილეთის ფასს აუწევენ, თუ ცოტა ჰყავთ მუშტარი, იმ შემთხვევაში კი ბილეთზედ დანიშნულის ნიხრით მიჰყავთ ხალხი. სასურველია, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაინიშნოს გადაწყვეტილი ფასი, რომ მედიცინელთ თავიანთ ნებით არცაწევა შეეძლოთ ფასისა და არც დაწევა.

*** ახალ-სენაკი. სწორედ საქმე საარაკოდ გაგვიხადეს ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე სოფლიდგან ჩამოსულმა ქოფაკმა ძაღლებმა. სათვალავში კაცის თავზედ თითო ძაღლი მოვა. ეს ხროვა ძაღლებისა, დალამდება თუ არა, ქუჩა-ქუჩა დაეხეტება და ვაი იმას, თუ ვინმე მარტოდ-მარტო მიმავალი იგდეს ხელში; ასეთს საქმეს დააყენებენ, რომ დაბადების დღე აწყევლინონ. არა ერთი და ორი აუტირებიათ და აუცრემლებიათ, მაგრამ ყურის მგდებელი და მშველელი აბა ვინაა? უწინ აქ ამ გვარს ძაღლებს ან პატრონებს აბარებდნენ და ან, თუ პატრონი არ გამოჩნდებოდა, ჰხოცავდნენ. ხოლო ეხლა-კი ლამის დაგვჭამონ ძაღლებმა. იმედია, ვისგანაც ჯერ არს ამ საქმეს თავისს განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევს, დაგვიხსნის ყოველ წამ-და უწუმ სასაცილო შემთხვევისაგან და არ დაგვამწყვდევს ამ სიცხის დროს სახლში.

აქაური ფოსტის ქუჩა, რომელზედაც სასულიერო სასწავლებელიც არის, სრულიად უყურადღებოდ მიტოვებულია აქაურებისაგან. ამ ქუჩაზედ ეროი ფარანიც ვერ დაუდგამთ. ნეტავი რა დაეშავა ამ ქუჩამ? კმარა ამდენი ძილი ჩვენის დების მამა-პატრონ დეპუტატებისა! თუ ამ ქუჩას არ გაანათებენ, რომელი-ღა აქვთ უკეთესი?..

*** კუთაისხეკი, (გორის მაზრა). 21 აგვისტოს აქ ერთი საშინელი ჩხუბი და თავ-პირის მტვრევა მოხდა, რომელიც ბოლოს ხმლის ტრიალისა და რევოლვერების სროლით დამთავრდა. აქა ჰყავს დაყენებული მთელს სოფელს მწყემსები, რომლებიც მთელის წლობით სხვილს საქონელს ჰდარაჯობენ. წელიწადში საქონლის პატრონი იხდის თუ ძროხა ახალ მოგებულია, ხუთს ჩანახს პურს, სხვა მოცადშიაც ხუთ-ხუთი ჩანახია, მუშა ხარში-კი ერთს დღეს ანეულის გუთანში ახმარებენ. პურის მიცემა მწყემსებისათვის, რასაკვირველია, ,ალოში ხდება, ხოლოდ სიმინდისა—ზამთარში. აქა სცხოვრობენ ძმანი იაშვილები, აი ამათთან მისულან მწყემსები პურის წასაღებათ, სულ ოც და-ხუთი ჩანახი ერგებოდათ თურმე, იმათ შეუტევიათ და პური არ მიუციათ, მეორე დილით მწყემსებმა საქონელი გამოურჩიეს და გამოუცხადეს, რომ თუ სამწყემსურს არ გვაძლევთ, არც თქვენს საქონელს ვატარებთ და რაც გვიტარებია, ისიც ალალი იყოსო. ამის გამგონე იაშვილმა წააქცია თურმე იქ მყოფი მწყემსი გ. ოთიაშვილი და მგონია ოცგან გაუხეთქა თავი. ამ ჩხუბსა და მწყემსის ღრიალზედ მივიდა მეორე მწყემსი გასაშველებლად, მაგრამ ხელიდგან ვერ გააგდებინა გამძვინვებულს ლ. იაშვილს. ვიდრე ხალხი არ შეიყარა. გააშველეთუ არა, იაშვილი გაიქცა შინისაკენ, ხმალი გამოარბევინა და თან იძახდა: „ეხლავე დაგხოცავთ და მერე საცა უნდა გამგზავნონ, სულ ერთია, ციმბირში ვიქნები, თუ კავთისხევშიო“! ამის დანახვაზედ მთელი კაცი და დედაკაცი ფეხზედ დადგა და სანახიროზედ შეიყარა; ისეთი საშინელი კივილი და გოდება გაისმოდა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. როგორც იყო მოხუცებულებმა დააშოშმინეს გამძვინვარებული ლ. იაშვილი ჯშინ მიიყვანეს დიდის ხვეწნითა და მუდარით. დამტვრეული და დამსხვრეული მწყემსი გ. ოთიაშვილი-კი ასწიეს და ისე წაიღეს სახლში. საბრალოს რამდენსამე ადგილას თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი. ურიგოს არ იზამდა, ვისაც ამ საქმის გამოძიება შეეხება, რომ სასტიკად გამოიკვლიოს და ალაგმოს ასეთის უხამსის საქციელის ჩამდენი, მით უმეტეს, რომ ასეთი მოქმედება კავთისხევში პირველი არ არის.

*** ამ უკანასკნელს დროს გაგზავნილთ პატიმართა დასში, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სახალინის კუნძულის საკატორგო მადნებში მუშაობა, სხვათა შორის, ერია ერთი ქართველია. ჩ—ძე, რომელსაც სამუდამოდ ჰქონდა და გარდაწყვეტილი კატორგა ტოლის, და ორის შვილის მოკვლის გამო. კავკასიაში ანტონ ჩ—ძეს გამართული ჰქონდა ბაკები. ერთხელ იმასთან ჩამოხდა ვიღაც ქალი ორის ბავშვით. ჩ—ძემ მისცა ბინა—ქა, სადაც თითონ ოჯახობით სცხოვრობდა. ამ დროს ჩ—ძემ შეამჩნია, რომ ახლად მოსულს სტუმარს მუხლებზედ თავ-ახდილი უფთი ედგა, რომელიც ოქროსა და ქაღალდის ფულით სავსე იყო. წინდაუხედავმა ქალმა უამბო მასპინძელს, რომ ქ. ტფილისს მიეგზავრ ჩემ ქმართან, რომელიც ჯარის უფროსია.

სტუმარმა ქალმა დალია ჩაი, დაწვა და დაიძინა, ჩ—ძემ-კი ტოლს გამოუცხადა, რომ ოთახში ძალიანა მცხელა და გარეთ, სათიკეზედ, დაეიძინებო. ორის საათის შემდეგ ჩ—ძე ადგა, აიღო ხელში ტუდი, შეეპარა იმ ოთახში, სადაც სტუმარ ქალს ეძინა ორის შვილით და სამიკენი ტუდით დაჭხოცა. შემდეგ მკვლელმა ფულით სავსე უფის დაუწყო ძებნა... მაგრამ უფთი ვერსად იპოვა. ჩ—ძემ იფიქრა, წავალ და იმ ოთახიდგან წუმწუმას მოგიტან, რომელშიაც ჩემს ტოლსა სძინავსო. სახლის კარები ჩვეულებრივზედ უფრო მაგრა დაკეტილი დახვდა. ჩ—ძემ კარი დაუბრახუნა.

— ვინა ხარ? რა გნებავს? შემოესმა ქალის ხმა და მან იმ ქალის ხმა იცნო, რომელიც ისა-ის იყო თავისის ხელით მოკლული ეგონა.

ანტონ ჩ—ძე იქვე გაშეშდა, რამდენისამე წუთის შემდეგ თეთრის სადამურის ტანთსაცმელით სტუმარმა კარი გამოაღო; ხელში ანთებული სანთელი ეჭირა.

სტუმარმა ქალმა რაწამს მასპინძელი დაინახა სისხლში მოთხვრილი, საშინლად შეშინდა, კარი საჩქაროდ მიჭეკტა და დაიწყო ყვირილი. ამ ყვირილზედ სალხი შეგროვდა და ჩ—ძე შეეგზოჭეს. როგორც აღმოჩნდა, ჩ—ძეს თავისი ტოლი და ორი შვილი დაეხოცა და სტუმარი ქალი-კი შემთხვევით გადარჩენილიყო საზარელს სიკვდილს. აი რა შემთხვევამ გადაარჩინა თურმე:

სტუმარს ქალს დიდს ხანს ძილი არ მოსდიოდა, რადასაც ლელავდა, მიეიდა დიასახლისთან, წყალი მოსთხოვა და შესჩივლა თურმე, რომ რადაც ტუდად კარ და არ მეძინებაო. დიასახლისმა თა-

---

გამომეტყველება. მოძღვარის გამოცდილს თვალს არ გამოეპარა ის მძაფრი და მთრთოლვარე ცვლილება სახისა, რომელიც დააჩნდება ხოლმე ქალს ორსულობის დროს,—ამასთან წამოსასხამიც, რომელშიაც ეხვეოდა უცნობი ქალი, მოეხადა ხელის უკანასკნელის სასოწარკვეთილებით გაქნევისა გამო,—და მოძღვრის გამჭრიახის თვალის წინაშე წარმოსდგა უშნო ტანი უბედურის ორსულის ქალისა. ეხლა ცხადი იყო, რომ მიზეზი სასოწარკვეთილებისა ეჭვიანობა-კი არ იყო, როგორც ამას ჰფიქრობდა მოძღვარი, არამედ სირცხვილი დედა-ქალისა, რომელიც საათობით მოელოდდა შვილის დაბადებას.

მოძღვარი შიშის კანკალმა აიტანა; უცებ გაურბინა თავში იმ აზრმა, რომ ვაი თუ ქალს დროზე ვერ უთხრას გარდაწყვეტილი პასუხი; მაშინ ხომ დაიღუპა ეამ ქალის მომავალი! მაძღვარი მხურვალე გულ-მოდგენით შეევედრა უფალს, რათა მას შთაგონებინა მისთვის ნათელი აზრი, რომ ჩქარა მოენახა ის პასუხი, რომელიც მალამოსავით დაუმებდა ქალს ტანჯულის სულის კვეთებას და ააცდენდა იმ საშინელს ორგვარ დანაშაულს, რისთვისაც მიიყვანდა ასეთის თავ-დავიწყებით.

ნაზის, მაგრამ მტკიცე ხმით მიჰმართა მოძღვარმა ქალს:

— მე, შვილო, ვეხოვ უფალს, წინათვე შეგინდოს ის დანაშაული, რის ჩადენაც შენ გარდაგიწყვეტია... მხოლოდ ერთის უეჭველის პირობით.

— რა პირობით, მამაო?

— კიდრე შენ იმას სიცოცხლეს მოუსპობდე, ძუძუ მოაწოვე...

და თითქო თავისის საკუთარის სიტყვებისა შეეშინდაო, მოძღვარმა საიდუმლოდ წაიდუდუნა შესანდობელი ლოცვა: „in nomine“... და აკანკალებულის ხელით გაიხურა საღსარებოს კარები.

III

საწყალი ქალი ადგილიდგან ვეღარ დაიძრა, თითქო გაქვავდაო,—ისეთი თავს ზარი დასცა მოძღვრის შორს გამჭვრეტელობამ! უბედურს ქალს მოეჩვენა, თითქო აგერ დადგა საათი, უკანასკნელი საათი და იგი აქ ცივს ქვებზედ ჰშობს შვილს იმ ეკკლესიაში, სადაც მთელი თვე ყოველ საღამოს დადიოდა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გაებედა ის გამოეცხადებინა, რაც დღეს უთხრა მოძღვარს...

„ვიდრე შენ იმას სიცოხლეს მოუსპობდე“...

სთქვა მოძღვარმა, და საცოდავმა ყმაწვილმა, რომლის დაბადებას უბედური ქალი ყოველ წამს მოელოდ და, თითქო მიხვდაო საზარელს აზრს შვილის მკვლელობისას, დედის მუცელში ფართხალი დაიწყო თავისის პაწაწინა ფეხით. ჟულეტას არა ერთხელ უგრძვნია მუცელში ყმაწვილის ფეხის მწვავე ცემა, არა ერთხელ გაუგონია საზარელი იდუმალი ხმა, რომელიც გაისმოდა მისს არსებაში! მაგრამ ასეთის ძლიერებით, როგორც ამ წამში ხდებოდა, არასოდეს არ უგრძვნია.

იმდენი ძალა კიდევ შერჩა საწყალს ქალს, რომ ეკკლესიის კედელს მიეყუდა და კარებამდის ასე მიყუდებულმა მიაღწია. აქ დაუძახა თავისუფალს ეტლს, მეეტლეს ასწავლა თავისი ბინა და ჩაჯდა ეტლში. ეტლი ქვაფენილზედ მირახრახებდა და ეს რახრახი ხანჯლებსავით სჩხვლეტდა უბედურის მუცელს, მაგრამ იგი ხმაგაკმენდილი იჯდა სახლამდის. ცოტა დამშვიდდა მხოლოდ მაშინ, როცა შევიდა იაფ-ფასიანის სასტუმროს ოთახში და ლოგინს მიჰმართა. ეს მეხუთე კვირა იყო, რაც უბედური ამ სასტუმროში დაბინავდა, რადგან თავს შეატყო, რომ ორსულობის დამალვა აღარ შეიძლებოდა. ტკივილებისაგან მთელი ტანი აუკანკალდა და ლოგინში გორგალივით მოეხვია; ზევიდგან თეთრი ზეწარი და გაცივებული საბანი დაიხურა, საბანს ზემოდ დაუმატა კიდევ თავისი ტანისამოსი, რომ უფრო თბილადა ყოფილიყო. სასტუმროს დერეფანში ხალხი ბოლთასა სცემდა. ერთი ვიღაცა ჟულეტას კარს მოაწვა. ეს უცხო კაცი იყო, რომელიც თავისს კარებს ასცდა. მელოგინე შეწუხდა, რომ კარების რაზა საიმედო არ იყო, ადგა ყუთის მისაწევად, მაგრამ მუცლის სიმძიმემ დასძლია და ძლივს მისწია ყუთი კარების გასამაგრებლად. ჟულეტა ხელ-მეორედ დაწვა ლოგინში. ტკივილებისაგან მთელს ტანში ერუანტელმა დაუარა. ყმაწვილი ისე დაიძრა მუცელში, რომ ჟულეტამ კინალამ შეჰკივლა: „აი, დადგა საზარელი წამიო“!..

აზრები აერიე-დაერია თავში; საფეთქლებში ისეთს ტკივილსა ჰგრძნობდა, თითქო ვინმე ჩაქუჩებს ურახუნებდესო. როგორც ზღვაში დაღუპულს ადამიანს წარმოუდგება ხოლმე თვალ-წინ თავისის წარსულის ცხოვრების სურათი, ისე ჟულეტას მოაგონდა ახლა თავისი სიყმაწვილე. ისა და მისი ოჯახი და-ძმანი ღარიბის მასწავლებლის შვილები იყვნენ. რა გასაჭირი მდგომარეობაა გასათხოვარის ახალგაზდა ქალისა, როცა მას არა აქვს იმდენი მზითევი, რამდენიც მდიდარის მემამულის ქალს, ან გლეხის ჯანმრთელს ქალს, რომელსაც, მართალია, სწავლა არსად არ მიუღია, არც როიალზე დაკვრა უსწავლია, არც ისტორია, არც უცხო ენები, მაგრამ არც აუსრულებელის ოცნებისათვის მიუცია თავი. შემდეგ თვალ-წინ წარმოუდგა სიკვდილი დედისა, უმცროსის ძმისა, პატარა დისა და ბოლოს მამისა...

ვისთვის უნდა მიემართა?

მამის ამხანაგმა ჟულეტა გააცნო ერთს მდიდარს სახლობას, რომელმაც იგი შვილების მასწავლებლად აიყვანა.... როგორ მოხდა, რომ ჟულეტამ ნება მისცა ამ სახლობის მეგობარს, ახალგაზდა ბარონს დე-კერს შეეცდინა იგი, ამის პასუხის მოცემა ჟულეტას არ შეეძლო. ფუფუნების ატმოსფერაში ხშირად იმალება მრავალი თესლი ფლიდობისა და გარყვნილობისა!.. საღამოობით, როცა ჟულეტა ქვემო სართულის დარბაზში ჩამოდიოდა, ხშირად ჰხედავდა ახალგაზდა ბარონს დე-კერს, რომელიც იმას შეუმჩნევლად არშიყობის ქსელში აბამდა. სადა ჰქონდა ჟულე-

კისი ოთახი დაუთმო სტუმარს, როგორც უფრო სუფთად შენახული და თითონ სტუმრის ოთახში დაბინავდა თავისის ორის ბავშვით. ამნაირად, ᲑᲐ—ძე შეიქმნა მკვლელი თავისის ცოლისა და ორის პატარა შვილისა.

*** კვირას, 23 აგვისტოს, მუშტაიდში გამართული იყო სახალხო სეირნობა ნადეედის ბავშვთა თავშესაფარის სასარგებლოდ. ამ სეირნობიდგან შემოსულა სულ 648 მ., სეირნობის გასამართად დაუხარჯნიათ 135 მან. და თავშესაფარის სასარგებლოდ დარჩენილა სულ 513 მან.

*** გუშინ, 25 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, ალექსანდრე ვართანოვის სახლის კედელი გადმოინგრა და მომიჯნავე აპოსტოლოვის სახლის აივანს და იატაკს დაეცა. უბედურობა არა მომხდარა, რადგანაც ამ დროს ყველას ეძინა და გარეთ არავინა ყოფილა.

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალ „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡ“ № VII და VIII შემდეგის შინაარსით: ყმაწვილი და ციყვი ლექსი—შ. მღვიმელისა, თოფ-ხმლის საუბარი მოთხრობა—დ. თომაშვილისა, პატარა პუმის თავ-გადასავალი (თარგმანი)—ვანოსი, ყმაწვილი და ფუთკარი ლექსი—დ. თომაშვილისა, აფრიკის სპილო—კოტესი, ლიუდვიგ ბეთჰოვენი ბიოგრაფია თარგმანი—ან. წერეთლისა, ღორი-ლექსი—ვანო ბირკაძისა, ფიზიოლოგიური წერილები წერილი VI—ივ. გომართელისა, შალვა და თამრო სურათი—მარიამ დემურიასი, მარიამიობა—გ. წყალტუბელისა, ვეშაპი—პეტრესი, ნიშნების გამოცხადება (შეგირდის დღიურიდან)—მირზასი, საკვირველებანი ბუნებისა № 17 მწერიჭერია—ლადო აღნიაშვილისა, მგლების ნადირობა (ნამდვილი ამბავი)—მ. მეშენგელისა, სამშობლოსთვის თავდადებული—თეოფ. კანდელაკისა, სამეცნიერო გასართობი № 7 ეშმაკის მოვლინება—ბორასი, საჩივარი მებაღეზე—ალ. მ—შვილისა, პატარა ხუროები თეოფ. კანდელაკისა, წვრილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, აკროსტიხი, შარადა, რებუსები და სხვ.

—

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ: გუშინდელ „ივერიის“ მე-182 №-ში დაბეჭდილ სოფელ ალიდგან (ქართლი) მოწერილს ამბავში შეცდომით არის დაბეჭდილი: „ამ სოფლის მასწავლებელმა ქართული ენა იცის თურმე“. უნდა იყოს: „ქართული ენა არ იცის“.

გუშინდელსავე ნომერში, „რუსეთში“ შეცდომით არის დაბეჭდილი: „საისტორიო-საფილოლოგო ინსტიტუტი ერთად-ერთი უმაღლესი სასწავლებელია რუსეთში, სადაც სემინარიელებს იღებენ“. უნდა იყოს: „ერთად-ერთი უმაღლესი სასწავლებელია პეტერბურგში, სადაც იღებენ“... და სხ.

წერილი კისლოვოდსკიდგან

19 აგვისტო.

აქაურ სამადნო წყლებზედ რამდენიც უფრო მეტი ხალხი მოდის, მით უფრო მეტი საჩივარი და უკმაყოფილება გაისმის მომსვლელთა საუბედურად. აქაური მოუწყობლობა და მრავალი ნაკლულევანება არათუ ერვ აკმაყოფილებს მომსვლელთა მოთხოვნილებას, არამედ—ერთი ათად აღელვებს და აშფოთებსს უმეტესობას. მაგალითად, წელს, წარსულ წლებთან შედარებით, მეტი ხალხი ესტუმრა აქაურ წყლებს და იმათს სხვა-და-სხვა საჩივარს საზღვარი არა აქვს. უჩივიან უფრო ხშირად აქაურ სახლების უვარგისობას, სასტუმროებში მომზადებულ საჭმელების უსუფთაობისა და უგემურობას, ექიმების და სანიტარების უყურადღებობას, ქუჩების სიბნელეს და სიბინძურეს, მოსამსახურების უზრდელობას და სხ... ყოველ ამაში ერთი ხუთად და ათად ფასებს-კი იღებენ. მაგალითად, თითო აუზში ჩასვლა 50—75 კაპ. ჭიქრს. დადგება თუ არა მკათათვე და მარიამობისთვე, იმდენი ხალხი მოაწყდება ხოლმე აქ, რომ არა თუ ყველას, ნახევარსაც ძლივსა ჰყოფნის სახლები და აუზები, სხვა წვრილმანი რომ არად ჩავაგდოთ, ამას-კი უსათუოდ ყურადღება უნდა მიექციოს ვისგანაც ჯერ არს. თითო უბრალო, მოუწყობელ ოთახში ამ დროს სამსა და ოთხ მანეთს იღებენ დღე და ღამეში და აბა საწყალმა კაცმა აქ როგორ უნდა იცხოვროს თავისის საცოდავის ჯიბით?!.

ამ ბოლოს წლებში აქაურ სამადნო წყლებზედ მოსული ხალხი უფრო სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს. თანდათან ავადმყოფებთა რიცხვის სიმრავლეს უფრო ვხედავთ და არა ისეთი ხალხის სიმრავლეს, რომელიც წინად მოდიოდა ხოლმე უფრო დროს გასატარებლად და დასასვენებლად, საგარაკოდ. წინად თუმცა რიცხვით ნაკლები ხალხი მოდიოდა, მაგრამ მათ შორის უმეტესი წილი შეძლებული და მაღალის წრის ხალხი იყო, რომლებიც ორისა და სამის თვითა რჩებოდნენ აქ საცხოვრებლად, ამ უკანასკნელ წლებში კი თუმცა რიცხვით მეტნი მოდიან, მაგრამ უფრო ხშირად მხოლოდ ორიოდე კვირასა და ზოგი ორ-სამს დღეს რჩებიან, რადგანაც აქაურს სიძვირეს იმათი ჯიბე ვერ უძლებს. პიატიგორსკისა, ესენდუკისა და ჟელეზნოვოდსკთან შედარებით აქ უფრო ცოტა უკეთ არის მოწყობილი დროს გატარების საქმე, რის გამოც ყველა იდგილიდგან აქ იკრიბებიან მოაგარაკენი. როგორც ვუწყით, აქ არის გაშენებული „კავკავ-როსტოვის რკინის გზათა საზოგადოების“ მიერ სასეირნო ბაღი და „კურზლის“ შენობა, რომელშიაც მოთავსებულია პატარა კოხტა თეატრი, ყოველ ღამე იმართება ბ-ნ ფორკატის მეთაურობით წარმოდგენები და კონცერტები, გარდა ამისა აქ უკრავს ყოველ საღამოს პატარა ყმაწვილების სამუსიკო ხორო. ამ ხოროში 20 ყმაწვილია, 8 წლიდგან დაწყობილი 15 წლამდის. ყველას გურული ტანთსაცმელი აცვიათ და გურულებად იწოდებიან, თუმცა მათ შორის გურული არავინ არის, სულ 3 ქართველია და 17 რუსი და ურია. ეს ხორო შეუდგენია ტფილისელს აფიცერს გ—კას ქუჩა-ქუჩა მაწანწალა ბიჭ-ბუჭებისაგან. ესენი თავიანთის დაკვრით არ იზიდავენ მაყურებელს, როგორც ჩაცმა დახურვით.

7 აგვისტოს აქაურმა მემუსიკემ ყაზახმა კარ—ვმა ღამე ორი კაცი, ღამის დარაჯი მოკლა ხანჯლით. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მემუსიკე ყაზახი შუაღამისას მიმავალა თავისს სატრფოსთან სტუმრად, ეს დარაჯნი წინ გადაჰლობებიან და არ გაუშვიათ. იმასაც ხანჯალი უშიშვლია და ორივენი გამოუშიგნავს. ერთი უკვე გარდაიცვალა და მეორეკი ძნელად თუ მორჩეს.

აქეთ წვრილმანი ქურდობა ძალიან ხშირია.

შ. ი. ვ.ჩნაძე

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ᲓᲐᲑᲐᲚᲘ, 14 აგვისტო. ოთვალ წლის მარიამობას ამ მონასტერში იარმუკობა იმართება და სამეგრელოს ახლო-მახლო სოფლებიდგან ხალხი მოდის ჩამოსალოცავად, რადგანაც 15 აგვისტოს თვით მონასტრის დღეობაა. მლოცველები დიდის ლიტანიით ათეკენ ღამესა და სწირავენ მონასტერს: სანთელ-საკმეველს, გერცხლს, (დანაბირი იქნება), ფეხსა და ცხვარს. ღამის მთენელთა მხიარულება, სიმღერა-ბუბუნი მეგრულს კილოზედ მშვენიერს სურათს წარმოადგენს. ღამის მთენელებმა მონასტრის გალავანში სმა-ჭამა და ლოთობა ისე რადი იციან, როგორც ზოგიერთგან საქართველოში ჩვეულებად აქვთ ხოლმე. ამ დღეობა-იარმუკობიდგან გვარიანი შემოსავალი აქვს მონასტერს. მონასტერს აქვს საკუთარი მიწა. ამ მიწას ნაჭერ-ნაჭერად ჭეოფენ კარავების დასადგმელად. შემდეგ ამ გაყოფილს მიწას მიკიტნები თუ სხვა წვრილმანი მოვაჭრეები იჯარით იღებენ და ჭედიან სხვა-და-სხვა საქონელსა და სურსათ-სანოვაგესა. აქვე მოჭყავთ გასასყიდად შინაური საქონელი, რომელიდგანაც მონასტრებსაცა აქვს შემოსავალი. ერთის სიტყვით, ეს მონასტერი ამ დღეობა იარმუკობით სულდგმულობს. მონასტრის სიდარიბეს ყურადღება მიაქცია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და შეეწირა ასი თუმნამდის.

ამ 10 მარიამობისთვეს ხობის მონასტერში მოვიდა საქართველოს ეკლესია-მონასტრების სიძველეთა და ნაშთთა დამცველი არსეოლოგი და მსატვარი ა. ბ. �sრი, რომელიც მოსვლისათანავე შეუდგა ძველის დროის სატების სურათის გადაღებას, ეს სატები ეკუთვნის 1160—1660 წ. და შემოწირული თავ. დადიანთაგან. სამწუხაროდ, ბ-ნმა ეისნერმა მონასტრის ძველები ზოგან შეღებილი ნახა, რის გამოც სრულიად წაშლილია მსატვრობა... სწორედ დიდად სასურველია, რომ ბ-ნი ეისნერი სხვა დანარჩენ სამეგრელოს ძველს ეკლესია-მონასტრებსაც ნახავდეს და იქიდგანაც გადაიღებდეს შესანიშნავ ძველს მსატვრობას, მით უმეტეს, რომ ზოგან ბედლებსა ჭლესავენ სადებავითა და შეიძლება სრულიად გამოკეთოთ ძველს მსატვრობას. იმედია, ბ-ნი ეისნერი სხვა ადგილებსაც დათვალიერებს და მით ჯრ დაუკარგავს მომავალ თაობას ძველს მსატვრობას.

ტელეფონი

რუსეთი

—

წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პირველ კურსზე სულ 50 თავისუფალი ადგილი იყო, შესვლის სურვილი-კი 68 კაცმა განაცხადა; მათ შორის 25 კაცი სემინარიების გამგეობათა დადგენილებით იქმნა გაგზავნილი.

— გზათა სამინისტრომ 4,000 მანეთი გადასდო ერთის ინჟენერის თხზულების გამოსაცემად. ამ ინჟენერს დაუვლია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის დიდი ქალაქები და აუწერია ამ ქალაქების რკინის გზები, მათი წარმოება და ის წეს-რიგი, რა წეს-რიგიც ამ გზებზედ არის მ-ღებული.

— რადგანაც ამ ბოლოს დროს რუსეთის შუაგულ გუბერნიების გლეხთა სასოფლო-მეურნეობა წლითი წლობით ეცემა და უკან მიდის, ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს დაარსოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ის ღონისძიებანი, რა ღონის-ძიებათა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება დასახელებულ გუბერნიების მეურნეობის გაუმჯობესება და წარმატება.

ტას იმოდენი სულიერი ძალა, რომ მკვახე პასუხი მიეცა პარონისთვის? პირიქით, ჟულეტას თითქო სასიამოვნოდ მიაჩნდა ის გარემოება, რომ იგი შეიყვარა ახალგაზდა კაცმა, რომლის შესახებ ხშირად ჰქონდა გაგონილი, რომ იმან მრავალის ქალის გული მოინადირაო. საწყალი ჟულეტა დარწმუნებული იყო, რომ ბარონს იგი უყვარდა, თუმცა ამ უკანასკნელს არც ერთხელ არ უთქვამს, შეგირთავო. ერთხელ, რამდენისამე პაემანის შემდეგ, ჟულეტა დასთანხმდა ბარონის სურვილს: ბარონი გახდა ჟულეტას საყვარელი. გაიარა თვეებმა, რომლებიც სავსე იყო განუსაზღვრელის სიხარულითა და აღტაცებით,—რასაკვირველია, მარტო ჟულეტასთვის. ბარონს რომ ერთის საათის სიყვარული მაინც ჰქონოდა, განა ასე სასტიკად მოექცეოდა, ასე უღმერთოდ მოატყუებდა, შეუბრალებლად ხელსა ჰკრავდა უფსკრულისაკენ და ეტყოდა: „რავქნა, რომ აღარ მიყვარხართ, განა მე ვარ დამნაშავე?“...-ო, ეს რა სთქვა! ან როგორ წარმოსთქვა ეს სიტყვები იმ ბაგემ, რომელიც ასე მხურვალედ ჰკოცნიდა ჟულეტას ტუჩებს!

შემდეგ, როცა ჟულეტა დაუკვირდა თავისს მდგომარეობას, იმას ერთს წამსაც არ უფიქრია მიემართა საშველად თავისის შემაცდენელისათვის. ჟულეტა იმდენად ამაყი იყო, რომ არასოდეს არ შეურიგდებოდა იმ კაცის ეჭვს, რომელსაც არა სჯეროდა, რომ თითონ არ იყო ამ ქალის პირველი საყვარელი. ბარონმა ეს ეჭვი მაშინ გააგებინა, როცა მათ შორის პირველი უთანხმოება მოხდა. განა ბარონის კადნიერებას საზღვარი ჰქონდა, როცა ჟულეტას ამისთანა ცილსა სწამებდა! დღეები დღეებს მოსდევდა, მაგრამ რა მწარე და სამწუხარო დღეები იყო! რავდენადაც კი შესაძლებელი იყო ამ მდგომარეობის დამალვა, ჟულეტა სცდილობდა დაემალა თავისის მოსწავლეების მშობლების წინაშე. მაგრამ როცა ტანის სისრულემ ისე იმატა, რომ დამალვა აღარ შეიძლებოდა, ქალმა ძმის ავადმყოფობა მოიგონა, იმ ძმისა, რომელიც Chevmont-ის ერთ ლიტეიში პროფესორად იყო. ჟულეტა მართლაც ამ ქალაქისაკენ გაემგზავრა, მაგრამ, როცა სადგურზედ მივიდა, იმდენი გამბედაობა ვეღარ გამოიჩინა, რომ ამ მდგომარეობაში ძმას სჩვენებოდა და მეეტლეს უბრძანა წაეყვანა იმ სასტუმროში, რომელიც ქალაქზედ უფრო მოშორებით იყო. აქ იმან სხვისის სახელითმთელი ექვსი კვირა გაატარა. აქ იგი შეპყრობილი იყო იმ საზარელის აზრით, რომ უეჭველად ჩაედინა ის მძიმე დანაშაული, რომლის შენდობასაც მოძღვარს ყვედრებოდა. თუ ბედმა ისე გასჭრა, რომ ყმაწვილი უდროოდ დაიბადა და ვერ იცოცხლა, ხომ მაშინ ისიც გადარჩება სიკვდილს, შემდეგ მოინანიებს ამ ერთად-ერთს შეცთომას და დანარჩენს ცხოვრებას ნამუსიანად გაატარებს, მაგრამ რა ჰქმნას უბედურმა, თუ ყმაწვილი თავის დროზედ დაიბადა და იცოცხლა? მაშინ ხომ ორივენი, დედაცა და შვილიც, ერთაც უნდა დაიხოცნენ. ვისაც საცხოვრებლად საკმაო საშუალება არა აქვს, ან ვინც გლეხის შვილად არ დაბადებულა, ის ან არ უნდა დაიბადოს, ან დაბადების უმალვე უნდა მოკვდეს...

ასეთს არეულ-დარეულ ფიქრების მორევში რომ იყო, ისეთი აუტანელი და მწვავე ტკივილები იგრძნო, რომ კინაღამ ძალზედ შეჰკივლა, თავი ძლივს შეიმაგრა, სიმწარით ბალიშს დაუწყო კბენა და საცოდავად იხლაკნებოდა ლოგინზედ. დადგა უკანასკნელი საშინი წამები, მაგრამ უბედურის ქალის ერთი კვნესაც არ გასცილებია ოთახის კარებს. ბოლოს ტკივილები იმდენად აუტანელი შეიქმნა, რომ უნებლიედ გაიფიქრა: ესაა; ვეთხოვებიო სიცოცხლეს; თავს ბრუ დაესხა, ყველაფერი აირივ-დაირია.

ყმაწვილი დაიბადა...

IV

ეს მოხდა დილით, როცა ოვერნის არე მარე ნაცრისფერის ღრუბლებით იყო შემოსილი...

ჟულეტას მახლობლად ყმაწვილი იწვა. საზარელმა განზრახვამ ხელ-ახლად გაურბინა თავში. უმჯობესი არ იქნება, მოუპიროს პირზედ ხელი და უცებ დაარჩოს: ერთი ხელის განძრევა, სულ უბრალო ხელის განძრევა და საქმე გათავდებოდა. მაგრამ სად იყო ამდენი მამაცობა. ამ სიჩუმის დროს უცებ გაისმა ოთახში ყმაწვილის ტირილი, ტირილი გასავსავებული და თან სუსტი. ტირილმა ჟულეტა გამოაფხიზლა. „საქმე უნდა გათავდეს!“ გაიფიქრა მან. აკანკალებული ხელი ყმაწვილს მოჰკიდა. დედის თითები შეეხო ყმაწვილის გამხდარ სხეულს, რომელიც ჯერ ისევ სველი იყო. დედამ შვილი მიიახლოვა. დილის მკრთალს სინათლეზედ გაარჩია, რომ ყრმა ქალი იყო. უმანკო და უშნო ქმნილება პაწაწა ფეხებს ატოკებდა, წამწამებს ახამხამებდა და პატარა ტუჩებს ძუძუსათვის იგრძელებდა.

ჟულეტას უცებ მოაგონდა მოძღვრის სიტყვები: „ვიდრე შენ იმას სიცოცხლეს მოუსპობდე, ძუძუ მოაწოვე...“ და მორჩილებით, თითქმის მონურად გაიხსნა ქალმა თავისი პერანგი, გამოიჩინა გამხდარი ძუძუ და მიუახლოვა ყმაწვილის პირს. ყმაწვილმა პირი ჯერ აქეთ-იქით გააქან-გამოაქანა, მაგრამ ძუძუს მალე მიაგნო და დაუწყო გაუმაძღრად წოვა. დედა შველოდა ყრმას და ხელით ძუძუს უსწორებდა.

გადადიოდა წვეთ-წვეთად დედის რძე შვილის სხეულში და თითქო ხორცი მისი ემატებოდა შვილის ხორცს; ქალს თვალები ევსებოდა ცრემლებით, იმ ცხოველმყოფელის ცრემლებით, რომელშიაც ინთქებოდა დედის მწარე საყვედური. ქვითინებდა და თან ნაზის ჩურჩულით ეალერსებოდა: „ჩემო შვილო, ჩემო სიცოცხლე!“ და იმის მაგიერ, რომ ეს საცოდავი არსება დაერჩო, ალერსიანად ხელებზედ არწევდა.

მოძღვარი სამართლიანად მოიქცა, რომ ცოდვა აპატია... პირობით.

ქალი გადარჩა ორნაირს დანაშაულს.

თ. ზიარელი

— პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის სამასწავლებლო საბჭოებმა შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ჯამაგირი მოემატოს იმ მასწავლებელთ, რომელთაც წელიწადში 300 მანეთზედ ნაკლები აქვთ

— სამკურნალო დეპარტამენტში აზრადა აქვთ ლაპარაკი აღძრან იმის შესახებ, რომ საყოველთაოდ გავახსენოთ ყველა მეაფთიაქეთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან განსაკუთრებულ შემთხვევაში სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინონ გაჭირვებულთ და თუ შემთხვევა მოითხოვს ექიმიცკი მოუწვიონ.

— ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება დედათა სავაჭრო სასწავლებლისა. ასეთი სასწავლებელი პირველი იქმნება რუსეთში. ამ სასწავლებელს კიევში დაარსებენ.

— ზღვათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შავის ზღვის ნავთ-სადგურებში ახალი საზღვაო სასწავლებლები იქმნას დაარსებული.

— კიევის ახლად დაარსებულ პოლიტეხნიკუმში მისაღები ეგზამენები უკვე დასრულდა. შესვლის სურვილი განაცხადა 1100 კაცმა. მათ შორის ეგზამენის დაჭერის ნება მისცეს 949 კაცს—263-ს საინჟენერო განყოფილებასა, 364—სამექანიკო განყოფილებასა, 156—სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასა და 115—საქიმიო განყოფილებაზედ.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. თითქმის ოთვალ დღე დეშეშას საფრანგეთიდგან ახალი და ახალი ამბავი მოაქვს დრეიფუსის საქმის შესახებ. ამ საქმეს, რომელმაც მთელი ხუთი წელიწადი ალაპარაკა საფრანგეთთან ერთად მთელი განათლებული ქვეყანა, ამ ბოლოს დროს ნათელი ეფინება. როგორც მკითხველებმა უწყიან, შუბუ გამოაშკარავდა, რომ ერთი უმთავრესი საბუთის ქაღალდი, რომლის ძალითაც დრეიფუსის დანაშაულობას ამტკიცებდნენ, ყალბი გამოდგა; ხოლო ეს სიყალბე ჩაიდინა პოლკოვნიკმა ანრიმ, რომლის მოწმობასაც დრეიფუსზოლას საქმის გარჩევის დროს უველაზედ მეტ მნიშვნელობას აძლევდნენ. პოლკოვნიკი ანრი საგანგებო შტაბში მსახურობდა და პიკარის თანაშემწეობას ასრულებდა. როდესაც პიკარმა დრეიფუსის მხარი დაიჭირა და განაცხადა, რომ დრეიფუსი უდანაშაულოდ არის დასჯილი, პოლკოვნიკი ანრი გამომძიებელის პატი დიუ-კლამთან ერთად ყოველ ღონესა ღონობდა, რომ პიკარი გაემტყუნებინა და საგანგებო შტაბიდგან გაეგდევნა. და გაიტანა კიდეც თავისი: პიკარი არამც თუ თანამდებობიდგან დაითხოვეს, არამედ, ანრისაგან წაყენებით, სამართალში მისცეს ლ დაპატიმრეს კიდეც. მაგრამ არ გასულა სულ სამი-ოთხი თვე, რომ სიმართლე გამოაშკარავდა. ანრიმ თავისაგან პირით განაცხადა, ჩემი დაწერილია ის ქაღალდი, რომელშიაც დრეიფუსის ღალატზედაა ლაპარაკი. რასაკვირველია, ამ ამბავმა დრეიფუსის საქმე სულ სხვა ნაირად დაიტრიალა. დღემდის მთავრობა იმას გაიძახოდა, რომ დრეიფუსის საქმის ხელ ახლა განხილვა არ შეიძლება, დრეიფუსი, როგორც სხვა და სხვა საბუთის ქაღალდებიდგან და მოწმეების ჩვენებიდგანა სჩანს, დამნაშავეა. დღეს-კი ამას კვლავ ამბობს: უმთავრესი საბუთის ქაღალდი ყალბი გამოდგა, ხოლო უმთავრესი მოწმე ანრი საყალბის ჩამდენი. 1894 წელს, დრეიფუსის საქმის გარჩევის დროს სასამართლომ უკვალზედ მეტი მნიშვნელობა მოწმის ანრის ჩვენება მისცა, ხოლო ახლა გამოაშკარავდა, რომ ანრი განგებ ამაგებდა და ამტყუნებდა დრეიფუსს. ამის შემდეგ უკვალსათვის აშკარა შეიქმნა, რომ დრეიფუსის საქმე ხელ ახლა უნდა გარჩეულ და განხილულ იქმნას. საფრანგეთის აწინდელმა სამინისტრომაც ამაკე თავლით შეხედა საქმეს და დაადგინა, რომ დრეიფუსის საქმე ხელ ახლა იქმნას განხილული, თუ დრეიფუსის მეუღლემ ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა. როგორც დეპეშა იუწყება, ამ გადაწყვეტილების წინადმდეგი მხოლოდ სამხედრო მინისტრი კოვენიაკი იყო. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ მართალია ანრიმ ასეთი საქმე ჩაიდინა, მაგრამ დრეიფუსთან მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, დრეიფუსი მაინც დამნაშაულა და იმის საქმის ხელ-ახლა გარჩევა შეუძლებელია. რადგანაც სამინისტროში კავენიაკს მხარი არავინ დაუჭირა, ამიტომ ამ უკანასკნელმა თხოვნა შეიტანა თანამდებობიდგან განმთავისუფლებოთ. ამ რიგად დღეკანდელი საფრანგეთის სამინისტროს წევრები ამ აზრისა არიან, რომ დრეიფუსის საქმე ხელ ახლა უნდა გაირჩესო, და რადგანაც, როგორც ბუშინდელ დეპეშიდგანა სჩანს, დრეიფუსის მეუღლემ უკვე მიჭმართა ამ აზრით მთავრობას, უთუოდ ამ ახლო მომავალში დრეიფუსის საქმის გარჩევას შეუდგებიან კიდეკ.

—

ფილიპეს ძუნძულები. როგორც მანილიდგან იუწყებიან, მეამბოხენი დაწყნარებას არ აპირებენ. იმ კუნძულებზედაც-კი სადაც დღემდის მშვიდობიანობა იყო, მეამბოხეთ არეულობას და უწესობას მიჰყვეს ხელი. თვით მანილაში ამერიკელებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის დიდი ჩხუბი და შეტაკებაა. აგვინალდო ბეკრს ურჩევს მეამბოხეებს დაწყნარდითო, მაგრამ ეს უკანასკნელნი ეურს არ უგდებენ და თავისას არ იშლიან. ამერიკელებს, გაზეთების სიტყვით, აზრადა აქვთ, დიდ ძალი ჯარი გაგზავნონ ფილიპეს კუნძულებზედ.



—

— რა გონიერი ძაღლი გეყვთ!

— საშინელი! თამამად შემიძლიან თავი მოვიწონო და ვთქვა, რომ ჩემზედ ჭკვიანია.

— ეგ ისე საკვირველი არ არის!

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲑᲘᲡᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

რამდენსამე წლის წინად საფრანგეთში დაიბეჭდა დეკევის მოთხრობა „Les emmures“ (დამარხულნი). ავტორი სცდილობდა, რომ ამ მოთხრობით აეწერა უსინათლო გრძნობანი. ეს წიგნი, რა თქმა უნდა, მეტად საყურადღებო არის.

მაგრამ აქ აწერილ უსინალოთა ცხოვრებაზე უფრო საყურადღებოა ცხოვრება ამერიკელ ერთის ქალის შესახებ, რომელსაც სახელად ეწოდება ელლენ კელლერი და რომლის შესახებ ძლიერ ბევრსა სწერდნენ ამერიკის ჟურნალ გაზეთები. ამბავი ამ ქალის ცხოვრებისა მეტად შესანიშნავია და თითქმის ძნელად დასაჯერებელიც, თუმცა უტყუარი-კი არის.

ელლენ კელლერი დაიბადა ჩრდილო ამერიკის ერთს პატარა ქალაქში და თითქმის ორ წლამდე სრულიად ჯან-საღი იყო. ორის წლისა რომ შეიქმნა, ძლიერ ავად გახდა, დიდხანს სიკვდილის პირას იყო, ბოლოს მკურნალებმა გამოუცხადეს ბავშვის დედ-მამას, რომ ყმაწვილი სიკვდილს გადარჩება, მაგრამ საუკუნოდ ბრმა და ყრუ დარჩებაო. ელლენი სწერს ეხლა: „იმ დროს იმდენად პატარა ვიყავი, რომ, რა თქმა უნდა, ვერ მივხვდებოდი, რა უბედურება მეწვია. თანდათან მივეჩვიე წყვდიადს, სიჩუმეს და სრულებით აღარ მახსოვდა, რომ ქვეყანაზე როდისმე ყოფილიყოს ან სინათლე, ან ხმაურობა, მახსოვდა მხოლოდ დედის სიყვარული და ხემს სიცოცხლეში არც დამავიწყდება როდისმე“. თითქმის მთელ დღეს პაწია ქალი დედას მუხლებზე ეჯდა და ერთად-ერთს იმის სიამოვნებას ის შეადგენდა, რომ, როცა დედა ლაპარაკობდა, ტუჩებზე ხელს დაადებდა ხოლმე და სცდილობდა მიმხვდარიყო როგორმე, რას ამბობდა დედა. რაც უფრო წამოიზარდა პაწია ქალი, იმდენად გაუძლიერდა სურვილი გაეგებინებინა სხვებისათვის თავისი გრძნობანი. უბედურის ბავშვის მამამ, მაიორმა კელლერმა მიჰმართა პერკინსის ინსტიტუტს ბოსტონში და სთხოვა, ისეთი მასწავლებელი გამომიგზავნეთ, რომ შეეძლოს უსინათლოს აღზრდა და სწავლებაო. ინსტიტუტმა მიუთითა ქ-ნ სოლივონზე, რომელიც თითონ კარგა ხანს უსინათლო იყო და გამოცდილებით იცოდა, რა დიდი მოთმინება არის საჭირო, რომ უსინათლოს ასწავლოს რამე. აქ-კი თვით ქ-ნ სოლივონს გაუძნელდა საქმე, რადგანაც ბავშვი ბრმაც იყო, ყრუც და, მაშასადამე, მუნჯიც. ბავშვს მალე შეუყვარდა თავისი მასწავლებელი და ამან გააადვილა საქმე. ქ-ნმა სოლივონმა აჩუქა თავისს მოწაფეს მშვენიერი ტიკინი და რა ნახა ყმაწვილის აღტაცება, გამოართვა ხელი და აჩვენა, როგორ უნდა დაიწეროს სიტყვა doll (ტიკინი). ბავშვმა რომ ეს სიტყვა დაისწავლა, ეხლა კიდევ სხვა ასწავლეს და ამგვარად ათიოდე დღის შემდეგ უსინათლომ, ყრუმ და მუნჯმა ყმაწვილმა უკვე იცოდა, როგორ იწერება ოციოდე სიტყვა, თუმცა ის-კი ვერ შეეგნო, რა კავშირი ჰქონდა იმ ნივთებს, რომელსაც ხელში აძლევდნენ და ამავე ნივთების სახელებს, რომელთაც თითონვე სწერდა. მაგალითად, რძე და ქოთანი, რომელშიაც ეს რძე იყო, ვერ გაერჩია ერთმანერთისაგან. მაგრამ, აი ერთხელ მასწავლებელმა წაიყვანა სასეირნოდ თავისი უბედური მოწაფე, მიიყვანა ონკონთან, გაავსო ლიტრა წყალით, გაუწოდა ბავშვს და ანიშნა, რომ ამას სახელად Water (წყალი) ეწოდებაო. ელლენი თითონა სწერს: „ამ ერთმა სიტყვამ დამაწყებინა ფიქრი და მოსაზრება. აქამდე ჩემი გონება თითქოს ბნელს ოთახში იყო მომწყვდეული და ეხლა ახალმა აზრმა განმინათლა გონება და ვიგრძენ სურვილი ახალის ცოდნის შეძენისა“.

ეხლა-კი გაუადვილდა ელლენს საქმე. ძლიერ მალე შეისწავლა ანბანი, სახელი მრავალის საგნისა და ზოგიერთი ზმნა. რამდენსამე თვის შემდეგ ელლენმა დაისწავლა კითხვა (უსინათლოთათვის ამობურთებულ ასოებით ჰბეჭდავენ წიგნებს) და მერე წერაც. კიდევ ერთის თვის შემდეგ ელლენმა მისწერა წერილი თავისს ნათესავს ქალს; უსინათლო, ყრუ და მუნჯის ქალის მართლ-წერამ ყველანი გააოცა.

ათის წლისა რომ გახდა ელლენი, ლაპარაკის შესწავლა მოიწადინა, მაგრამ მასწავლებელს ეგონა, რომ ეს შეუძლებელიაო და ხელს არ უპართავდა ამაში. სრულიად შემთხვევით შეიტყო ელლენმა, რომ ერთმა ყრუ და მუნჯმა ნორვეგიელმა ქალმა ლაპარაკი ისწავლა და სთხოვა დედმამას, მეც მასწავლეთ ლაპარაკიო. მაშინ ელლენის მამამ მიჰმართა ისევ ბოსტონის ინსტიტუტის დირექტორს ქ-ნ ფულლერს, რომელმაც უსინათლო, ყრუ და მუნჯს ბავშვს ერთს დღეში დაასწავლა ორი სიტყვა „დედა“ და „მამა“. რამდენსამე წლის შემდეგ ელლენმა შეისწავლა ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები, მსოფლიო ისტორია, ინგლისის ლიტერატურა და მათემატიკა.

ელლენი საკმაოდ ლამაზი და მოხდენილი ქალია. უბედურებამ გული არ გაუტეხა და არ გააბოროტა, ვერც სამდურავს გაიგებს კაცი იმისის პირიდგან თავისს ბედზე. „მე ხანდახან მოწყენილი ვარო, სწერს ეს შესანიშნავის ნიჭის ქალი, მაგრამ რა ვუყოთ, ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ თავისს უბედურებას უნდა გაუძლოს. ტანჯვა იმდენადვე აუცილებელია ადამიანისთვის, როგორც წვიმა საჭიროა ყვავილისთვის“.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲣᲠᲘ

ბორნო-ციმოლის საპონი

გ. ფ. ᲘᲣᲠᲒᲔᲜᲡᲘᲡᲐ

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მტამლასა და მეჭეტებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲝᲗ ᲜᲐᲭᲔᲠᲘᲡᲐ 50 ᲙᲐᲞ., 1/2 ᲜᲐᲭᲔᲠᲘ 30 ᲙᲐᲞ.

იყიდება ყველა საუკეთესო საოფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმოსავლეთან, კავკასიაში საოფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—22)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ

ამით აცხადებს, რომ 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ამა გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯაროდ იჯარის გაცემა იმისი, თუ ვინ იკისრებს ცხენების საკვების მომზადებას, სახელდობრ: 70 ათასი. ფუთ ქერისა, 60 ათასი ფუთ. თივისა და 30 ათასი ფუთ. ბზისა. მსურველთ შეუძლიანთ პირობანი განიხილონ გამგეობის ალმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (4—ნ—4)

ქალაქის სულით-ავადმყოფთა თავშესაფარისათვის

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ.

სადგომი ქალაქის განაპირას უნდა იყოს და შესდგებოდეს 15—20 ოთახისაგან დიდის ეზოთი და თუ შეიძლება ბაღითაც. განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობას უნდა გაუგზავნონ. (3—ნ.—2)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცდაშვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში—თერთმეტი (11)—(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ აღგილი დაათმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გაგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდა შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმს ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოწელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი—იანვარსში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან გრეთვე ისა გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 189⁸/₉ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—10)

Довзолено цензурою, Тифлисъ 25 го Августа 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.